

გოეთეს მუზეუმი დიუსელდორფი

ანტონ-და კატარინა-კიპენბერგების-ფონდი

იაკობის ქუჩა 2, 40221 დიუსელდორფი, ტელ. (0211) 89-9 62 62

სამუშაო საათები:

სამშაბათიდან პარასკევამდე და კვირას 11-დან 17 საათამდე,
შაბათს 13-დან 17 საათამდე



გოეთე. პორტრეტის ავტორია ფრანც ფონ კიუგელგენი.
შესრულებულია ზეთში. 1810

ანტონ კიპენბერგმა, რომელიც 1874 წელს ბრემენში დაიბადა და 1950 წელს ლუცერნში გარდაიცვალა, მთელს მსოფლიოში გაითქვა სახელი, როგორც ლაიფციგში ინზელის გამომცემლობის ხელმძღვანელმა და მესაკუთრემ. მან, როგორც ბუკინისტმა, ახალგაზრდობაშივე დაიწო გოეთეს საგანძურების შეგროვება, რითაც იმთავითვე შექმნა ფუნდამენტი გოეთეს საცავისათვის. კიპენბერგის მიერ ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავმოყრილი განძის საფუძველზე მისმა ქალიშვილებმა დიუსელდორფში დამოუკიდებელი იურიდიული სტასუსის მქონე ფონდი ჩამოაყალიბეს და მშობლების პატივსაცემად ანტონ-და-კატარინა-კიპენბერგების-ფონდი უწოდეს. დიუსელდორფში ფონდის განსათავსებლად საუკეთესო ადგილი იყო სასახლე შლოს იეგერჰოფი, რომელიც საკარო ბადის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. 1748 წელს იეგერჰოფის მშენებლობა პფალცის თავადმა, კარლ თეოდორმა, აახენის არქიტექტორს იოჰან იოზეფ ქუვენს დაავალა, ხოლო მოგვიანებით შენობის არქიტექტურულ გეგმაში ცვლილებები საკუთარ ხუროთმოძღვარს ნიკოლა დე პიჟაჟს შეატანინა. გოეთეს დაბადებამდე ერთი წლით ადრე დაპროექტებული მშენებლობა 1772 წელს დასრულდა. გოეთემ შლოს იეგერჰოფი სავარაუდოდ დიუსელდორფში თავისი პირველი ვიზიტის დროს ნახა, თუმცა იგი არაფერს სწერს მასზე. იაკობების ოჯახის აგარაკს პემპელფორტს, სადაც გოეთე დიუსელდორფში სტუმრობდა, შლოს იეგერჰოფისგან ერთი ბაღი ჰყოფდა. 1792 წლის ნოემბერში საფრანგეთის წინააღმდეგ ომიდან დაბრუნებულმა გოეთემ ოთხი კვირა იაკობების აგარაკზე დაჰყო. ამ მოგზაურობის შესახებ გაკეთებულ ჩანაწერებში მართალია ის სასახლეს არ იხსენიებს, მაგრამ ხოტბას ასხამს მეზობლად მდებარე აყვავებულ



გოეთეს მუზეუმი დიუსელდორფში. ანტონ-და-კატარინა-კიპენბერგების-ფონდი. შლოს იეგერჰოფი.

ბაღებს. 1796 წელს იეგერჰოფი რევოლუციურმა არმიამ გაძარცვა, რასაც შედეგად მისი გაუკაცრიელება მოჰყვა. იეგერჰოფის აღდგენა ადოლფ ფონ ვაგედესის თაოსნობით მხოლოდ 1811 წელს მოხერხდა დიუსელდორფში ნაპოლეონის ვიზიტთან დაკავშირებით.

იაკობების ოჯახთან გოეთეს ახლოურთიერთობის ნიადაგზე საფუძველი ჩაეყარა მთელ რიგ შემეცნებით კავშირებს, რომელთაც გოეთე დიუსელდორფში მცხოვრებ თავისი თანამედროვე ცნობილ ადამიანებთან ამყარებდა. მათ შორის არიან: იოჰან იაკობ ჰაინზე, იოჰან პეტერ მერჰიორი, იოჰან ჰაინრიხ ლიფსი, ფრიდრიხ ბური, პეტერ კორნელიუსი, ჰაინრიხ კოლბე, ფელიქს მენდელსონ ბართოლდი, ფერდინანდ ჰილერი და ჰაინრიხ ჰაინე. სწორედ ამ სახელებს უკავშირდება ის ფაქტი, რომ დიუსელდორფი ანტონ-და-კატარინა-კიპენბერგების ფონდის „დიუსელდორფის გოეთეს მუზეუმის“ საფუძველზე, რიგით მესამე გოეთეს ქალაქია გერმანიაში, ფრანკფურტისა და ვაიმარის შემდეგ.

პრინციპი, რომლის მიხედვითაც კიპენბერგმა თავისი კოლექცია შეაგროვა, ფონდისთვის დღესაც მნიშვნელოვნად რჩება. ის გოეთესეულ სიმბოლურ ცნებას უკავშირდება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ იმ ექსპონატების მიღებაა მიზანშეწონილი, რომლებიც, როგორც ამას გოეთე 1797 წლის 16 აგვისტოს შილერისადმი მიწერილ წერილში აცხადებს, განსაკუთრებული ეგზემპლარები არიან და დამახასიათებელი მრავალფეროვნების ფონზე წარმომადგენლობით ხასიათს ატარებენ, ანუ პირველადი მნიშვნელობის გარდა გადმოსცემენ გოეთეს ეპოქის სულს.

მაისენის
ფაიფურის
მანუფაქტურაში
დამზადებული
ვერთერის
ფინჯანი.



საცავში არსებული ყველა ექსპონატი გოეთეს მოღვაწეობის პერიოდების გაშუქებას ემსახურება. აქ წარმოდგენილია უამრავი მონეტა, მედალი თუ პლაკატი გოეთეს თანამედროვე სახელმწიფო მოხელეების, სწავლულებისა და ხელოვანების გამოსახულებებით. ფაიფურის ნიმუშები ვაიმარის ხედებით, სხვადასხვა ქალაქებისა და ბუნების სურათებით ქმნიან იმ ადგილების საერთო სურათს, სადაც გოეთეს უწევდა ყოფნა. აქვეა წარმოდგენილი გოეთეს იმ თანამედროვეების პორტრეტები და ბიუსტები, რომელთანაც მას ცხოველი ურთიერთობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა აკავშირებდა. ამ შემეცნებითი სამყაროს ყველაზე ნათელ ამსახველად კი გოეთეს წერილები, ხელნაწერები, ჩანაწერები და წიგნები გვევლინებიან, რომლებიც ასევე მუზეუმის საკუთრებას წარმოადგენენ.

მუზეუმში დაცული 35 000 ექსპონატის გამოფენა ბუნებრივია შეუძლებელია, რადგან ამ რაოდენობას ვერც საგამოფენო დარბაზები და ვერც დამთვალიერებლის აღქმითუნარიანობა გაწვდება. სწორედ ამიტომ საცავის დიდი ნაწილი დაარქივებულია და მისი ჩვენება სხვადასხვა გარემოებებისადმი მიძღვნილ კონკრეტულ გამოფენებზე ხდება. გარდა ამისა დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ ესა თუ ის ცალკეული ექსპონატი სურვილისამებრ მუზეუმში სპეციალურად გამოყოფილ დარბაზში დაათვალიერონ.

მუზეუმში წარმოდგენილი მთავარი თემა, გოეთეს ცხოვრება და შემოქმედება, ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა განთავსებული 11 საგამოფენო დარბაზში და 1000-მდე ექსპონატს მოიცავს. ვიტრინებში გამოფენილია ცალკეული ნაწარმოებების პირველი გამოცემები. აქვეა წარმოდგენილი მათზე მუშაობის პროცესში

ფრიდრიჰ ჰაინრიჰ იაკობი.
სპილენძის მაკეტი.
დამზადებულია ფრანსუა
ჰემსტერჰოის ნახატის
მიხედვით. დიუსელდორფი,
1788 წლის 2 მარტი.



სიმღერები“. წიგნის თავფურცელზე მხოლოდ კომპოზიტორი ბრაითვოპფია მოხსენიებული, ხოლო ლექსების ავტორი გასაიდუმლოებულია. მუზეუმში დაცულ ეგზემპლარში კი გოეთეს მიერ შესრულებულია საავტორო მიძღვნა თავისი თანაკურსელის --ლანგერისადმი. აღსანიშნავია, რომ ლანგერს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქეთჰენ შონკოპფტან, რომელსაც გოეთე ლაიფციგში ყოფნის პერიოდში ეტრფოდა. სწორედ მას ეძღვნება კრებულში შესული ლექსების დიდი ნაწილი. იმ ფაქტს, რომ გოეთე ლაიფციგში მხოლოდ სამართალმცოდნეობით არ იყო დაკავებული, მოწმობენ ქეთჰენისა და მისი ოჯახისადმი მიწერილი ურიცხვი წერილები, კორნელის მისეული თარგმანის მანუსკრიპტები და ესკიზები, რომელთაც იგი თავისი მასწავლებლის ოეზერის მეთვალყურეობის ქვეშ ასრულებდა. გოეთეს მიზანი ზოგადი განათლების მიღება იყო, რაშიც მას გოთშედი და გელერთი უფრო ეხმარებოდნენ, ვიდრე სამართალმცოდნეობის პროფესორები. ვინაიდან გოეთე ამ პიროვნებებს თავის ავტობიოგრაფიაში ხშირად მოიხსენიებს, დარბაზს მათი პორტრეტებიც ამშვენებს.

1770წელს გოეთემ სწავლა სტრასბურგის უნივერსიტეტში განაგრძო. სტრასბურგში გატარებული პერიოდისადმი მიძღვნილ ვიტრინაში მოთავსებულია წერილი, რომელიც 1770 წლის თებერვლით თარიღდება და სადაც გოეთე აღნიშნავს, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ იგი აუცილებლად ეწვევა პარიზს. მაგრამ სტრასბურგში მიღებული შთაბეჭდილებები გოეთეს ახალ შემეცნებით გზაზე აყენებენ, იგი მონუსხულია მიუნსტერით, ეცნობა ჰერდერსა და შექსპირს და შორდება ფრანგულ იდეალებს. ვიტრინის გვერდით კედელზე წარმოდგენილია სპილენძზე ამოტვიფრული სტრასბურგის ხედი, რომელიდანაც კარგად სჩანს მიუნსტერის

გოეთე.
პორტრეტის
ავტორია
ჰაინრიხ
ქრისტოფ
კოლბე.
შესრულებულია
ზეთში ხეზე.
1826



სიდიდე. ვიტრინასთან ახლოს განლაგებულია ჰერდერის ბიუსტი, ვიტრინაში კი შექსპირის ოტელოს ის ეგზემპლარია წარმოდგენილი, რომელშიც გოეთეს სტრასბურგელი კურსელის ლერზესადმი მიძღვნა ჩანიშნული. მომდევნო ვიტრინაში მოთავსებულია გოეთეს ხელნაწერი „ოსიანის“ ინგლისურიდან თარგმანისა, რომელიც მან ფრიდერიკე ბრიონს უსახსოვრა. ამ გზით ზესენჰაიმის პერიოდი მოხსენიებული, როცა გოეთე ფრიდერიკე ბრიონს ეტრფოდა.

„დარმშტატის წრესთან“ გოეთეს ურთიერთობა წარმოდგენილია იოჰან ჰაინრიჰ მერკის პორტრეტისა და კლოპშტოკის „იდებისა და ელეგიების“ მეშვეობით, რომელთა გამოცემაც ჰესენისა და დარმშტატის მმართველმა კაროლინემ მერკს დაავალა. აღსანიშნავია, რომ წიგნის ტირაჟი 34 ეგზემპლარით შემოიფარგლებოდა. ვიტრინასთან ახლოს ზეთში შესრულებული კლოპშტოკის პორტრეტი ჰკიდია. ბოლო ვიტრინა, რომელიც ფრანკფურტის ხანის დარბაზშია წარმოდგენილი გოეთეს ოჯახს ეძღვნება. აქვეა მისი დის, კორნელია გოეთე-შლოსერის პორტრეტი და დეიდის კატარინა ფონ კლეტენბერგის საქორწილო წერილი გოეთეებისა და შლოსერების მეგობრებისადმი, რომელიც პიეტისტურია და ნათელს ჰფენს კლეტენბერგის წვლილს გოეთეს შემეცნებით გარდაქმნაში. აქვეა მოთავსებული 1874 წელს ფრანკფურტში საადვოკატო მოღვაწეობის დროს გოეთეს მიერ შესრულებული ჩანაწერები.

1772 წელს გოეთე ფრანკფურტიდან ვეცლარში გადავიდა სამუშაოდ. სწორედ იქ გატარებულ წლებს უკავშირდება ორი წლის შემდეგ გამოქვეყნებული რომანი „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“. „გეთე ფონ ბერლიჰინგენის“ შემდგომ, რომელიც გოეთეს მუზეუმში ცალკეული სიუჟეტების ხელნაწერების სახითაა დაცული, ვერთერი ახალგაზრდა მწერლის ის ნაწარმოებია, რომელმაც მას, არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელს ევროპაში გაუთქვა სახელი. ერთი საგამოფენო დარბაზი ვერთერის თემას ეთმობა. დარბაზში გამოფენილია რომანის პერსონაჟების ისტორიული პირების სურათები და ხელნაწერები, ასევე მისი პირველი გამოცემა და 1824 წელს გამოსული საიუბილეო გამოცემა, რომელსაც ერთვის გოეთესეული მიძღვნა შარლოტე შტაინისადმი.

რომანის პრობლემას მის შესახებ შედგენილი სადისკუსიო წერილები აშუქებენ. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლენცის წერილს „ახალგაზრდა ვერთერის მორალურობის შესახებ“. რომანში მოთხრობილი სასიყვარულო ისტორიისადმი თანამედროვეების ცხოველ ინტერესს გამოხატავენ კედელზე განთავსებული ილუსტრაციები და აგრეთვე ვერთერის ერთ-ერთი ენთუზიასტის დაკვეთით მაისენის ფაიფურის ფაბრიკაში დამზადებული ფინჯანი ლოტესა და ვერთერის გამოსახულებებით.

იმ ხანად, როდესაც „ვერთერისადმი“ ცხოველი ინტერესი ღვივდებოდა, გოეთე ვაიმარის ჰერცოგის კარლ აუგუსტის მიწვევით მის თიურინგიულ რეზიდენციას ესტუმრა. 1778 წლის 7 ნოემბრიდან გოეთეს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. ვაიმარში გატარებულ 11 წელიწადს, იტალიაში მოგზაურობის დაწყებამდე,

ცალკე დარბაზი ეთმობა. ვიტრინებში განთავსებულია ჰერცოგის დედის, ანა ამალიასა და მისი კარის ვაიმარული კულტურული ცხოვრების სიუჟეტები. ტიშბაინის მიერ ზეთში შესრულებულ ანა-ამალიას პორტრეტს თვალსაჩინო ადგილი აქვს მიკუთვნილი. მის გვერდით კი ვაიმარის საჰერცოგოს კარის მოქანდაკის მიერ შესრულებული კარლაუგუსტისბიუსტიამოთავსებული, რომელიც ერთადერთ ეგზემპლარს წარმოადგენს. მასზე გამოსახულია 18 წლის ჰერცოგი, როგორც იგი გოეთემ პირველად იხილა ვაიმარში. კედელზე მოთავსებული სურათები დამთვალეიერებელს წარმოადგენას უქმნიან ვაიმარის საჰერცოგოზე, რომლის მართვაში გოეთეც ღებულობდა მონაწილეობას. მის პირველ შთაბეჭდილებებს დარბაზში წარმოადგენილი მისივე წერილიდან ვეცნობით. აქვეა გამოფენილი ვაიმარში ყოფნის პირველ წლებში გოეთეს მიერ შესრულებული რამდენიმე ნახატი. სწორედ ამ წერილში აღნიშნავს გოეთე, რომ იგი მალე მსოფლიო თეატრის სცენაზე თავის როლს შეასრულებს. ამით გოეთე გერმანული კლასიკური ხანის ჰუმანურობის იდეალს უახლოვდება, რომლის მანიფესტადაც მისი ჰიმნი „იყავ ადამიანო კეთილშობილი“ ითვლება. ლექსის გოეთესეული ხელნაწერი დარბაზის ყველაზე ღირებული განძია.

ამ მანუფესტიდან გამომდინარე გოეთე უამრავ სახელმწიფო საქმეში ჩაეფლო, მუზეუმში დაცულია მისი ჩანაწერები სახელმწიფო საქმიანობის სფეროში. ვაიმარში გატარებულ პირველ წლებში გოეთეს შემოქმედებით საქმიანობაში დიდ როლს ასრულებდა შარლოტე ფონ შტაინი. ამ უკანასკნელის სილუეტი ვიტრინაშია წარმოადგენილი. აქვეა გოეთესთან მისი ცხოველი მიმოწერის ერთი ნიმუში და გოეთეს ლექსის „მთვარეს“ შტაინისეული ხელნაწერი. აღსანიშნავია, რომ ეს ლექსი გოეთემ სწორედ მას მიუძღვნა. ვიტრინის წინ განთავსებულია კლაუერის მიერ შესრულებული გოეთეს ბიუსტი, რომელიც შტაინის საკუთრებას წარმოადგენდა.

მრავალფეროვანი სახელმწიფო მოღვაწეობის ნიადაგზე საფუძველი ჩაეყარა გოეთეს დაინტერესებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით, როგორც აბოტანიკა, გეოლოგია, მეტეოროლოგია და ქრომატიკა. ვაიმარის თემისადმი მიძღვნილი დარბაზის ბოლოში განლაგებულია საბუნებისმეტყველო ოთახი, რომელშიც მოთავსებულია გოეთეს ჩანაწერები მცენარეული და ცხოველთა სამყაროს მეტამორფოზაზე, მისეული აღმოჩენები ადამიანის შუა ყბის ძვლის არსებობაზე და ის ხელსაწყოები, რომელთა საშუალებითაც გოეთეს ფერთა თეორია ყალიბდებოდა.

გოეთეს სახელმწიფო საქმიანობამის შემოქმედებით განვითარებას არსებითად ზღუდავდა. ამიტომ მან ჰერცოგ კარლ აუგუსტისგან უვადო შვებულება მიიღო და 1786 წელს იტალიაში გაემგზავრა. ის ამ მოგზაურობაზე იმდენად დიდ იმედებს ამყარებდა, რომ რომიდან დედისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა, აქედან სულ სხვა ადამიანად ჩამოვალო. აღნიშნული წერილი მეორე სართულზე განლაგებული, იტალიაში მოგზაურობისადმი მიძღვნილი დარბაზის ერთ ვიტრინაშია დაცული. აქვეა

მოთავსებული გოეთეს ხელნაწერი მეხუთე რომაული ელევგისა, რომელიც მან ფრითც იაკობს უსახსოვრა და რომელშიც ნათლად სჩანს, თუ როგორ მონუსხა გოეთე რომის კლასიკურობამ. რომში იმხანად მყოფი გერმანელი ხელოვანების წრეში მოხვედრამ გოეთეს ანტიკური ხანისადმი ინტერესი გაუღვივა. მხატვარ ფრიდრიჰბურის მიერ შესრულებული სურათი კარგად გვიხატავს იმას, თუ როგორ პოულობდა გოეთე ამ წრესთან ურთიერთობის საფუძველზე საკუთარ კლასიკურ ნორმებს. მის პირველსა და მეორე ვიზიტს რომში სამი დარბაზი ეთმობა, აქვეა გაშუქებული სიცილიაში მოგზაურობის თემატიკაც.

გოეთეს იტალიიდან დაბრუნებას მალე 1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია და ნაპოლეონის მარცხი მოჰყვა. ეს მოვლენები და მათ მიმართ გოეთეს დამოკიდებულება ცალკე დარბაზშია წარმოდგენილი. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა გოეთეს მეგობრობა და თანამშრომლობა შილერთან, ამიტომაც ერთი ვიტრინა შილერის ვაიმარში მოღვაწეობის წლებს ეძღვნება.

1792 წელს გოეთემ მეორედ იმოგზაურა კობლენციდან დიუსელდორფში. ამ მოგზაურობის მიზანს იაკობების აგარაკზე, პემპელფორტზე დასვენება და ომის მოვლენებიდან შორს ყოფნა წარმოადგენდა. იაკობების დახმარებით, რომელთაც უამრავი წერილი, მოსაგონარი ნივთი თუ საოჯახო პორტრეტი გადასცეს მუზეუმს, შესაძლებელი გახდა გოეთეს დიუსელდორფში ყოფნის პერიოდისა და ფრითც იაკობთან ურთიერთობის თემატიკის ერთ დარბაზში განთავსება.

გოეთე. ერინგსდორფის
ეკლესია. ტუშით
გადანაწერი ფანქარზე. 1778



„ფაუსტი“ ის ნაწარმოებია, რომელზეც გოეთე თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე მუშაობდა. ამ თემის გასაშუქებლად ასევე ცალკე დარბაზია გამოყოფილი, სადაც დამთვალეიერებელს საშუალება ეძლევა გაეცნოს ფაუსტის მასალის ისტორიას. აქ წარმოდგენილია ხალხური წინაწყაროები, ფაუსტის მარლოვისეული დრამატურგიის ნიმუში და ბოლოს გოეთესეული ვარიანტი. მუზეუმში დაცული მასალა მართლაც რომ შთაშბეჭდავი მაგალითია ფაუსტის თემის გაშუქებისა ლიტერატურის, ფერწერისა და მუსიკის სფეროში. საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია ჯოჯოხეთის სცენის ამსახველი ილუსტრაციები, პეტერ კორნელიუსის მიერ გოეთეს ფაუსტისათვის შესრულებული ნახატები და მონახაზები, რამბლერის მინიატურები აკვარელში, ასევე სალვადორ დალის ოფორტი და პაულ შტრუკის სურათები ფაუსტის მეორე ნაწილიდან. მუსიკალური თემატიკა წარმოდგენილია გუნოდისა და ჰუგო ვოლფის მაგალითებით.

ცალკე ვიტრინა ეთმობა გოეთეს ხელნაწერებს ფაუსტის მეორე ნაწილიდან. აქვე ამოთავსებული რიმერის მიერ შედგენილი ჰელენას აქტის მეტრული სტრიქონები. მომდევნო ვიტრინა ფაუსტის სხვადასხვა ვარიანტების პირველ გამოცემებს წარმოგვიდგენს. სხვებში კი განთავსებულია ეკერმანის მიერ დამუშავებული სასცენო ვარიანტები, ასევე გოეთეს თანამედროვეების მიერ შესრულებული თარგმანებისა და ინტერპრეტაციების ნიმუშები.



„კარიბჭის წინ“. ნახატი შესრულებულია ფანქრით და კალმით პეტერ კორნელიუსის მიერ. ილუსტრაცია „ფაუსტის“ პირველი ნაწილიდან, 1811

მუზეუმის ბოლო დარბაზი გოეთეს შემოქმედების ბოლო წლებს ეთმობა. კიუგელგენის მიერ ზეთში შესრულებულ პორტრეტზე გამოსახულია 61 წლის გოეთე, ქრისტიან ფრიდრიხ ტიკისა და ქრისტიან დანიელ რაუხის ბიუსტები კი 71 წლის მწერალზე გვიქმნიან წარმოდგენას. ჰაინრიხ კოლბეს მიერ შესრულებულ სურათზე 77 წლის გოეთეს ჭმუნვა იკითხება. ორი ვიტრინა 1814-1815 წლებში ფრანკფურტში გატარებულ დროს ეძღვნება. აქვე ვხვდებით გოეთეს რაინ-მაინის მოგზაურობის დროის ლექსების ხელნაწერს „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ „სულეიკას წიგნიდან“, მათ შორის აღსანიშნავია ლექსები „სავსე მთვარიანი ღამე“ და „გინგო ბილობა“. სულეიკასადმი მიძღვნილი ლექსების კრებული მარიანე ვილემერის სახელს უკავშირდება, რომელიც გოეთემ ბოლოს 1815 წლის სექტემბერში ჰაიდელბერგის სასახლეში ნახა. მასთან გამომშვიდობების ადგილი, რომელიც გოეთემ აკვარელში უკვდავყო, ასევე მუზეუმის საკუთრებაშია. რაინსა და მაინზე პირველი მოგზაურობის დროს გოეთემ ცელტერი გაიცნო. სწორედ ამ უკანასკნელს გაანდო მან მარიენბადში ულრიკე ფონ ლევეტოვთან ტკივილით აღსავსე გამომშვიდობების შედეგად დაწერილი ლექსი. ლევეტოვის რელიეფი და „მარიენბადის ელეგიები“ ბოლო დარბაზშია წარმოდგენილი. ცელტერის თემას ცალკე ვიტრინა აქვს მიჩენილი, სადაც გოეთეს ნაწარმოებების თემატიკაზე მის მიერ შექმნილი კომპოზიციებია გამოფენილი. იქვე ჰკიდია იოჰან ედუარდ ვოლფის მიერ ზეთში შესრულებული ცელტერის პორტრეტიც. ამ უკანასკნელთან ცხოველი მიმოწერა

გოეთე მეგობრების წრეში რომში.

შესრულებულია კალმით ფრიდრიჰ ბურის მიერ. 1786.



გოეთემ წიგნად გამოსცა, რითაც ოჯახს თავისი სიკვდილის შემდეგ შემოსავლის წყარო გაუჩინა. ამავე მიზეზით 1828 წელს ხელახლა გამოსცა მან ნაწარმოებების სრული კრებული. გოეთეს ოჯახი წარმოდგენილია იოსეფ ფრიდრიხ რააბესა და ლუიზე ზაიდლერის მიერ შესრულებული ტილოებით. ბოლო ვიტრინა გოეთეს სიკვდილის თემას ეძღვნება. ლითოგრაფიაშია გადმოცემული გოეთეს ოთახი. პრელერის ნახატზე სასიკვდილო სარეცელზე გამოსახულ გოეთეს თავს დაფნის გვირგვინი უმშვენებს. ამავე ვიტრინაში დევს 1832 წლის სამუშაო გეგმა, რომლის დასრულება გოეთეს არ დასცალდა. გეგმის მოპირდაპირე მხარეს გამოფენილია გოეთესა და ეკერმანს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, დარჩენილი ნაწარმოებების გამოქვეყნების თაობაზე, მათ შორისაა „ფაუსტის“ მეორე ნაწილიც, რომელიც გოეთეს გარდაცვალების წელსვე, 1832-ში გამოიცა.



გოეთე. „გინგო ბილობას“ თეთრად ნაწერი ხელნაწერი, წარმოდგენილი ორი დატკეპნილი გინგოს ფოთლით. 1815 წლის 15 სექტემბერი.

მუდმივი გამოფენა: „გოეთე თავის თანამედროვეობაში“
(10 საგამოფენო დარბაზი, გოეთეს ფერთა თეორიის სტუდია)


ბიბლიოთეკა:

17 000 წიგნი და გოეთეს დროის 3 000 ნოტების წიგნი

საცავი:

50 000-ზე მეტი ხელნაწერი, ნახატი, გრაფიკული ფურცელი,
ბიუსტი, მედალი და მონეტა

ურთიერთმონაცვლე გამოფენები, მოხსენებები, მუზეუმის
პედაგოგიკა, საინფორმაციო მომსახურება და გაყიდვა



გოეთეს მუზეუმი

ანტონ-და-კატარინა-კიპენბერგების-ფონდი

შლოს იეგერჰოფი, იაკობის ქუჩა 2, 40211 დიუსელდორფი

ტელ. (02 11) 89-9 62 62, ფაქსი (02 11) 89 29 144

ელექტრონული ფოსტა: goethemuseum@duesseldorf.de

www.goethe-museum.com

სამუშაო საათები:

მუზეუმი ღიაა:

სამშაბათიდან პარასკევამდე და კვირას 11-დან 17 საათამდე
შაბათს 13-დან 17 საათამდე. ორშაბათობით დაკეტილია

ბიბლიოთეკა და სასწავლო დარბაზი ღიაა:

სამშაბათიდან პარასკევამდე 10-დან 12 საათამდე და 14-დან 16

საათამდე

ასევე შეთანხმებით